განკარგულება:**g-27. 27241174**
თარიღი:**26/04/2024**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 23

26 აპრილი 2024 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 22 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106^1 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად,

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 22 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე -** ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით.

2. დაევალოს საკრებულოს აპარატს გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 22 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე** - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2024 წლის 24 მაისამდე.

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 22 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე -** დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად 2024 წლის 01 ივნისამდე.

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი